საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/89 " 12 " ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. ჩალათაშვილისათვის გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს. ვინაიდან, სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნამდე, უფლებამოსილების ერთ-ერთი მოსამართლის - ნანა ჩალათაშვილისათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს ყველა წევრის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ნანა ჩალათაშვილს დაეკისროს გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2022 წლის 13 ოქტომბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე